

ვირდება, სულ იმის ფიქრშია, როგორ უშველოს, რა მოუგვაროს თავის დიდ ოჯახს, მაგრამ ევებერთელა, მსუქანი სხეული ჰმტრობს მას, მის სულს ერთ ადგილას აბამს, და „უშლის აღმაფურენას“. დიდ სხეულს დიდი მოვლა და თავის ხეტოქა უნდა და ჩვენი თეთ-მართველობის წევრ-კენწიროს ფიქრი და ზრუნვა ამიტომ ყოველთვის თავის ქვედა ტანზე ფიქრათა და ზრუნვით გადაქცევა ხოლმე საბოლოოთ არაღვერი გაეწყობა, კუჭის კანონი ვახლავთ, უნდა დავემორჩილოთ.

ამ ბოლო დროს პურის ნიხრზე იფიქრა ჩვენმა თეთ-მართველობის კენწირომ. მთელ ქალაქს თვალი მოავლო, მის მიხვეულ-მოხვეულობაში გაისივინა თვალებით, არც ერთი უბანი არ დაუვლია გავლ-თვალღირებულთა. მდიდრებისაც და ღარიბებსაც ერთნაირი სიყვარულით გადახვდა. როგორ ექნა, რა მოეგებო, რომ ყველას გავუთავო პური ჩვენი ალსებისა, ყველას წმინდა, უმწიკვლო სიყვარულის შუქი მივუთინოთ. როგორ მოვიქცე ისე, რომ ერთნაირათ დამლოცოს და მომიგონოს ჩემს ირგვლივ გამღიღობა ქალაქელმა კაცობრიობამო.

ბეჯითათა და დიდხანს ატრიალებდა ამ აზრს თავის კენწიროში ჩვენი თეთ-მართველობა. დღე ღამაზათ ეღვარებოდა მზეში და ღამ სანობით, ვარსკვლავების გუნდში თავ-შეყოფილი, ნელი ჩურჩულით უზიარებდა იმთ პაწია უფრებში თავის ფიქრს და ოცნებას. მოაწია ყამა. ფიქრი საქმეთ უნდა ექცია, ოცნება ცხადათ... და აქცია კიდევ: ღარიბებს გაუძეირა პური და მდიდრებს გაუთავა. თავის ოცნებას ულაღატა და თავის ქვედა ტანს მიემხრო, თვის სულს დააკლრა და თვის სხეულს შემაჯა.

რა ექნათ; არაფერი ეშველება, კუჭის კანონი გახლავთ: უნდა დავემორჩილოთ.

მტკიცე და მძლავრია ყველგან კუჭის კანონი; იგი ხან-და-ხან სულისაც დაძლევს ხოლმე ზოგიერთ გვაშთა არსებაში. შენ თავზე იზრუნე, რა დარდი გაქვს სხეებისო, — სწერია კუჭის კანონში ღამ კუჭის კანონის კლანჭებში ჩაეარღნილია დღეს ჩვენი ქალაქის თეთ-მართველობა, ჩვენი რჩეულ-ჩინებული საბჭო. პირველი ხარისხის, მდიდრების პური გავკვირავ დღეს კუჭის კანონმა და უკანასკნელი ხარისხისა, ღარიბების პური გავკვირავ. ეს ამბავი ძნელი დასაჯერებელია, მართალი კი ვახლავთ. ჩვენი თეთ-მართველობა შეძლებული ხალხის თეთ-მართველობაა და ღარიბების დარდი არა აქვს; ჩვენც გზა დაუულოცოთ ამ დიდებულ სარბიელზე.

ამიტომ საკვირველიც არ არის, რომ ჩვენ უპარინტეო, უნადავო საბჭოში ასე უღროთთ გავებობართან და ახალ-აჩრეული ქალაქის თავი, ბ. გ. ევან-

გულოვი. ჩვენ თეთ-მართველობას სხეული მძლავრი და ღონიერი აქვს, შიგ კი მსუბუქი, ფარალალა სული უდგია, და ბ. გ. ევანგულოვის მძლავრ სულის კვეთებას ვერ გაუძლო და მუხლი მოიდრიკა მის წინაშე მორჩილათ და თავყანსცემით.


ქალაქის ქუჩების მოკირწყელის წესზე უნდა ყოფილიყო საბჭოში მსჯელობა, ძველი წესის შეცვლას აპირებდნენ. ბ. გ. ევანგულოვი წამოადგა და ბძანა: ამისთანა საყურადღებო და რთული საკანონო უწყემთ არ განიხილებათ: მოცადეთ, გადადევით ამ საქმეზე მსჯელობა, მე მალე დავმტკიცებთ ქალაქის თავით და მაშინ ვილაპარაკებთ. საბჭომაც დაუჯერა ღმწოწიწებით გადადგა განზე საყურადღებო საკანონო. რა შევინიერი ნიშნა, მკითხველო, ჩვენი საბჭოს სულის ვითარებისა.

ენიც უფულოთ ეკრება საქმეს, მას პირველი გამველელ-გამომეღელი კაცის შეტრეება დააფრთხობს და გააქცევს ხოლმე. „რას შერები შენ მანდ, ყაზახო, ვის საქმეს აკეთებ, ვასწი, გამეცალე მანდღედანო!“ — რამ შეძახო, მტიი არაფერი უნდა. რა ენაღვლება, სხვის ყანას თონისი, თონს ხელიდან გაავდებს ღმწოკურტლავს დაუსრულეტივ სიერქში. ბ. ევანგულოვმაც ამნაირი მძლავრი შეტრეებთ გაავდებინა ხელიდან თონი ჩვენ თეთ-მართველობას, ჩვენი ქალაქზე მზრუნველ-მუშაქთა, გააქცია ისინი და საზოგადო ყანა ახლა კერძოთ თავისთვის უნდა თონისო, მყუღროთ და აუჩქარებლათ, თავის უფლებათა შევინიერი მოსავლის მოსაყვანათ.

საბჭოში ზოგიერთნი, რიცხვით მცირენი, წინააღუღდენ ბ. ევანგულოვის თეთ-ნებობას, მაგრამ უმრავლესობა მისი მორჩილი გამოდგა, ყურიც არ გაუზერტყია, ისე დავემორჩილა ახოვანსა და ნაღვრე დღევამირს.

ამისთანა მოუღენა მხოლოდ იქ მოხდება ხოლმე, სადაც საზოგადო საქმის მუშაქნი უდარდელნი დ სულ-მოკლენი არიან, თავისი მოვალეობა, დამიანუერი „მრწამსი“ არ ემსობთ, არ გავებათ, რისთვის არიან რჩეულნი და მოწოდებულნი.

აწავის.



სხვა-და-სხვა ამბავი.



ართული თეატრის სასარგებლოთ გამართულ წარმოდგენამ ღმწოცხალმა სურათებმა დიდძალი ხალხი მიიზიდეს და შემოსავალი ორას თუმანამ ვის იყო. ახლა საზოგადოების მულის მეთრე საქველ-მოქმედო საღამო, 21 ქრისტეშობისთვის;

52

„წერა-კითხვის საზოგადოების“ სასარგებლოთ გამართული იქნება კონცერტი. ყოველ წლიე ისე ნასიამოვნებები რჩება ქართული საზოგადოება, რომ, უტყვევლია, ახლაც არ მოაკლებს თავის თანაგრძნობას.

* *

კავკასიის საექიმო მმართველობას გადაწყვეტია დღეის იქით სხვა ნაირათ მოაწყოს დაბა-სოფლებში ექიმობა. განზრახვა აქეთ ყოველ მხრეაში გამართონ ორ-ორი პატარა საავამთმყოფო და იყოლიონ ყველგან ფერშლები.

* *

ქნ. მარ. ეპ. ჯამბაყურიან-ორბელიანს განზრახვა აქვს გამართოს წარმოდგენა მომავალ დედათასკოლის სასარგებლოთ თეატრის მოყვარულთაგან ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე.

* *

22 ქრისტეშობის თვეს მასწავლებელ ქალთა საზოგადოების სასარგებლოთ არის დანიშნული მალოროსების წარმოდგენა სათავად-აზნაურო თეატრში. იმედია, ამ სიმპატიურ საზოგადოებას არ მოაკლებს ხალხი თავის ყურადღებას.

* *

ნომვრის განმავლობაში ქალაქის მიხეილოვის სამყურანლოში მისულა 1488 ავამყოფი, ავლანბრის განყოფილებაში 533 და ხარფუხისაში 475, სულ 2496 ავამყოფი. იანერიდან კი რჩევისთვის ავამყოფი მოსულა 7926, მითგანი უფსათო 7729 და ფსი გადაუხდათ ხალო 197 ავამყოფს.

* *

საუფლისწულო მამულების მმართველობას განუზრახავს შამშანიის ღვინის მომზადება ქუთაისის გუბერნიაში. აპირებენ შეიძინონ რიონის საღვურთან ადგილი და გამოიწერონ ასი ათასი ეზის ნერგი შამშანიდან.

* *

ამ ქამათ თფილისში თავი მოიყარეს მთლით ამირე კავკასიას გუბერნატორებმა ზე ამ კერაში კრებებში დეწყებთ, რათა ცვლილება შემოიღონ სამხრო პოლიციას, სერობო დარაჯთა ზე არსებულ მილიციას შორის.

* *

ქალაქის გამგეობის ცნობებიდან ჩანს, რომ ქა-

ლაქს ჰქონია 1897 წელს პირველ დეკემბრამდის 1,041,066 მან. 55 კაპ. ამავე ხნის განმავლობაში დაუხარჯავს—977,654 მან. 57 კაპ.

* *

როგორც პეტერბურგიდან აცნობებენ „ახალ მიმოხილვას“, სამინისტრომ უნდა მაღელ გადაწყვიტოს თფილისში შეიღ კლასიანი კომერციული სასწავლებლის დაარსება.

* *

სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულს განზრახვა აქვს დასტამბოს პატარ-პატარა წიგნები, რომელშიაც მოკლე დარიგება იქნება, როგორ უნდა მოვლა-გაშენება ზოგიერთ სასარგებლო მცენარეებს. წიგნაკებს შესაფერი სურათები ექნება ჩართული. ამ ქამათ უკვე ისტამბება პირველი წიგნაკი ზეთისხილის შესახებ. წიგნაკი შედგენილია აგრონ. როლოვის მიერ. სასურველია, რომ ამისთანა სასარგებლო წიგნაკები ქართულთაც დაისტამბოს და ხალხში გაფრცელდეს. (იერია)

* *

ჩვენ მივიღეთ შემაგვი გამოცემა: დრამატიული თსზულეპანი ა. ცაგარდისა, ავტორის სურათით. წიგნი შორეუ სუფთა გამოცემა, მსოფლით მრავალი კორექტურული შეცდომებისა შიგ, შეიცავს 260 გვერდს და ღირს 50 კაპ.

კანეაზე საკერი ან-ბანი, შედგენილია გრ. ტატიშვილისა. ფსი 40 კ.

თავით მასწავლებელი ფრანგული ენისა, გამოცემულია გ. ი. მქვანაროვისა და გ. ს. მქვანაისა, შეიცავს 148 გვერდს და ღირს 75 კაპ.

„კვალის“ კთარესპონდენციები.



გულათი (იერეთი). აქაურ მონასტრ-ს ერთ განყოფილებაში იყოფება ამ მონასტრის საუწყე და წიგნბი. ამ წიგნებში ბევრი ხელთნაწერია, მაგრამ თ თქმის ყველა ხტუტურა; მათ რიცხვში მხედრული ხელთნაწერი საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონია, რომელიც შეიცავს 215 გვერდს და ჩუბინაშვილის რუსულ-ქართულ ლექსიკონის ხელაა. აი მისი შესანიშნავი ადგილები: 13 გვერდზე ქართული სტამბის ხელთ შემდგე წარწერა: „აქ ქრისტეს აქეთ: 1787: მკერობელობასა ლხით იმე-

რითს: სამეფოსა ტახტსა. მეფეთა ტომთა დავითიანთაჲნ. აღმცენებულისა ორისაჲე ტახტისა საქართველოსა მეფეთა და დედოფალთაგან ბრწყინვალედ წარმოაზობილისა თვით მეფესა ამის აღქმანდრესითა ბრძანებითა წარიგზავნა რუსეთად: ქუთათელ. მიტროპოლიტი. ტიმოთეი. წინაშე დიდისა ხელშეწყობისა იმპერატორისა ანნა იოანნესა წინაშე რომელთაცა იპყრობს სრულიადსა. ჩრდილოეთსა. და მრავალთა აზიასა და სხვათა და სხვათა ევროპისა და სიერცხე განუხმომელისა ქვეყნისა: მყრომელისა. დიდისა კეისრისა და წარუგზავნა ქარტა სავედრებელი*. 120 გვერდზე დახატულია შტო ნათესაობისა წარწერით. 189 გვერდზე დახატულია ქარი ოც და რვა ნაირი, მათივე სახელების წარწერით. 248 გვერდზე, ე. ი. სადაღ ლექსიკონი სრულდება, იქ მოწერალია შემდეგ ნაირი ლექსი:

„შესრულდა აქა სიტყვანი მრავალთ ნაკრები წარდილთ ფილოსოფოსთა ნათარგმნი ყოველი ენისა ჩენილთა წყობიანი განკებრ შავდათ სხმით ასოებთ ვრცელებითა და ვინც სვას ამისგან დაითრას საბრძნისა ზოხილებითა“.

248—249 გვერ. ჩამოწერილია „იესო ქრისტეს სამეოც და ათორმეტ მოწაფეთა სახელები, ვინ იყვენ: და სად ებისკოპოს იქმნეს.“ *) 249 - 250 გვერ. ჩამოთვლილია „მოხელენი, რომელნი არიან ქართველნი და რომელთამე არღარა უწოდენ და დავწყუბიეს: და სხვა თურქთა ენათაგან მოუღიეს მისდა ნაკვლია:“ 250 გვერდზე ჩამოწერილია, თუ რამდენი წელიწადია ქრისტეს აქეთ სხვა-და-სხვა შესანიშნავ მოეღენა და მოქმედებამდის. ამავე გვერდზე შემდეგი ლექსია:

„ამ ლექსიგონის: რაკები თუ ბრძენმა დამოწუნოთა ჩემს: დროს ვემე გერ შეკუსდი თქვენთანს დასაწყქუნოთა ეს რა შეგვრბე მიქებუნენ: მაშინ აქ დასამკუნოთა და ვურდელის გამდრეკეს: ვოროუ მალღას დასაქუენ სასაქუნოთა: აქ: ლექსიგონი ან იყო დატარგოჯა: განთავლეთა უკმაღლელობითფურცელი. განკუნივა ვე ქართველთა: ასაღად შეგვრბე შეგაქვე: ჩემი ვიმრომე სულ ხანი სასამან: ორბელიანბან. ვის: ურად შერ, ვ სულხანი:

*) ბრძინილეგში ჩასმულია ზირდაზირ იქიდან ამოწყვილია, ზოგიც სათაური და ზოგიცც ისე, რაჰქალაქი მკითხველი ადვილათ გაიგებს.

მოურსე, მარამ განსწყქნდს გენსდისკურ პურთა: მსხედ ანს მიწვეხულა? მოსავთა მისთა მწედ ერთა: გაცბი: გ: კანჭი, ჯად: ადგე: ბეჭან: შვიდ გზანი ქიტას მიეცე : განსტანგ: მეთვის ნათავიზა ეს:.. რადგან: დაშურას ასე სასა: ქება, მმართებს აქ ვი მქა: შეუურას: მრავალად სიტუტე: რა ვისილე საბრძნე მტე: სად ვანსეგად: ასე კრეპით ქვეუნად მკვლო: გინდა: მტე: და საქმიოთ: სტანით: თუ ვისწავლი: ვით ვინაღვლი კიდე მტე:..“

251 გვერდზე ჩამოთვლილია „განჯაფისა და მისის თამაშობის სახელები ქართულათ და თათრულათ“. 251 და 252 გვერდებზე ჩამოთვლილია სახელები თევთანი, მაგ. ქართულით: (აპანი, სურწყუენისი, მირვანი, ივრიკა, ეარდობისა, მარილისა, თიბისა, ქველთობისა, ახალწოლისა, სთვლისა, ტრისკონი და ტრისდენი); გლეხთა ქართულათ: (განცანდებისთვე, ფებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, ივანობისთვე, კვირიკობისთვე, მარობისთვე, ცენისთვე, ლეონობისთვე, გიორგობისთვე, ქრისტესწამობისთვე); ლათინურათ: (ინივარი, ფებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, იენისი, ივლისი, ავვისტოსი, სეკენდერი, ოკნდობერი, ნოვენგრა, დეკენდერი); ებრაულათ, ბერძნულათ, სომხურათ და სხვა და სხვა ენაზე.. 253 გვერდზე დახატულია „სასუფეველი ლეთისა მადლითსა, სადღეური ზეცისა ძალთა“ თავის მნიშვნელობათა წარწერით. 254 და 255 გვერდზე — ლექსიკონი სოფლებთა და ქალაქთა სახელებთანი“. 257 გვერდიდან, ვიდრე ბოლომდე ზეუსურია. პირველი სათაური „უწევბა მიზეხსა ქართველთა მოქცევისასა თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების.“ მეორე: „თქმულისაგან წმიდთა მამათასა ბასილი კესარიელისა, მაქსიმე აღმსარებელისა და დიონისიოს არიოპაგელისა: თარკმანება საღობროთსა ჟამის წირვისა“. მესამე — „სარწმუნოებთი სრულნი აღთქმანი“. 4) — „სულელის დება მისაგელთა“, 5) — „უკუთუ გინებას ცნობის რაჟამს თქვა ლმერთან იყვენ ნათელი: რომელი დღე იყო ანუ რომელი თვე“. 6) — „თქმული არისტოტელ მაკედონელისა: კითხვა: მიგება“. 7) — „განება მზისა უკეთუ გინდეს ცნობის მზისათვის თუ რა არს სახე მისი“. 8) — „სახელები თორმეტთა ქართა“. 9) — „უკეთუ გინდეს ცნობად თუ მზე რასა გელსა ზედა ზის“. 10) — „უკეთუ გინდეს ცნობად ჟამი მზის დაბნელებისა“. 11) — „არისტოტელის წინასწარი ცნობა ჟამთათვის“. 12) — „წმიდთა შორის მამისა ჩეენისა ბასილი მთავარი ებისკოპოსისა კესარია კაბაღუ-

კიხა მოთხრობა მღვდელ-მოთხოვნი და საიდუმლო-
ებათა“ და სხვა... ამ მოთხრობებში ბევრი საისტო-
რიო მასალებია და თუ ვინმე მოითხოვს—შეუძლია
მიიღოს, რომლის პირობას საჭიროებისამებრ ვაც-
ნობებთ.

ქგუ.

* *

სოფელ ცეცხლი (ზემო ქართლი) მღვდარობს დ.
სურამიდან ჩრდილოეთით ხუთი ევრის სიშორეზე.
არა მგონია კიდევ იყვეს საღმრთო მისთანა უპატრონო
მიტოვებული სოფელი, როგორც სოფ. ცეცხლია. კა-
რში ვერ გამოსულან უგზობით, ისე საძვალთ გა-
აფუქს ცუდმა აღვრებმა გზები. მეორეც ეს ავტო თვე
ნახევარი იქმნება, რაც აქ მძინვარებს საძვალ სენი,
რომელსაც ხალხი სახადს (საოფლე) უწოდებს. თუ-
რამე მთელ სოფელში მოდებულა ეს საძვალე სე-
ნი და მათთვის ყურის მგდებელი კი არაფერია. ახს
წინეთ შემთხვევით მომიხდა ამ სოფელში ყოფნა.
სწორეთ სიბრალულმა ამიტანა, რაცა ხალხის გაჭირ-
ებმა ენახე და მიამბეს: თურქმ თითო საღ-ში ორი
და სამი ავათმყოფი წყის უტეკამათ და უწამლოთ.
თუმცა ადვილია სურამიდან ექიპის მიწვევა, მაგრამ,
თუ წარმოვიდგენთ ხალხს ქონებრივთ დაქვეითე-
ბას, მაშინ მგონია ადვილათ წარმოვიდგენთ ამის სი-
მთელს. პირველი რომ უგზობა უშლის ხელს, რად-
განაც ეტლით და ცხენით სიარული შეუძლებელია,
და ფეხით, ხომ მ-გუხსენებთ, რომ არც ერთი ექიპი
არ მოისურვებთ აწისთანა საძვალ ტალაში წასვლას.
განა ადვილია ძალზე ვალტაკებულ გლეხისათვის, რომ
ხუთი და ექვსი მანეთი ექიპს მივცეს, ოთხ მანეთ ნა-
კლებ არც ეტლი წავა, ორი და სამი მანეთის წამა-
ლიც მოუწდება და აბა ეს ყველა სად შეუძლია სა-
ბრალო გლეხს? თუ ვინდ ერთხელ გაჭირებით წი-
ყვანოს, განა ერთხელ მიუყვანა საკმარისი ავადმყოფო-
სთვის? ან ვინა ჰყავთ იმისთანა, რომ მათ ზაჯონას:
საჭიროა ავათმყოფისთვის ექიპი და არა სოფლის მკი-
თხაები და სოფლის ბებრუტუნების ვალენილი წა-
მღებთ? მეზობლებიც ამისთანა დროს, რა კი ვიგე-
ბენ, რომ ამა და ამ კაცს სახადი უღვია, ერთი
ევრის სიშორეზედაც აღარ ეკარებთან. კიდევაც რომ
მოკედეს ვინმე, საზარემდის მიამტან კაცსაც ვერ
იშოვის მკედრის პატრონი.

უმთავრესი მიზეზი ზემო ქართლის გლეხების
სიღარიბის იმაში მდგომარეობს, რომ ძლიერ მი-
რე სახაზე სათვის აქვთ და რაც თითო ოროლა დალი-
ური მიწა უჭირავთ, ისაც ბატონისა, რადგანაც „ნა-
დღელები“ არ აქვთ შეყიდული. აქეთ ჯერ ისევ ისე-
თივე სასახური აწებს გლეხს კისერზე, როგორც ყო-
ფელა ბატონ-ყმობის დროში; თუ თითო-ოროლა მუ-

ქა ქირაწული მოუყა; ის ისევ ბატონს უნდა მისცეს
და თითონ რჩება მშვიტი.

„ლისის მთიელი“

* *

ჩაოსტაური. ერთ უსაჭიროეს გზას შეადგენს
ჩოხატაურის „შოსს“ მთლათ აღმოსავლეთ გური-
ისათვის. მაგრამ, სამწუხაროთ, სრულიად უყურად-
ღებოთ არის დატოვებული.

„საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ამ გზის შე-
კეთებას, (რომლის სიგრძე ჩოხატაურიდან საღვურ
საჯავახამდე 18 ევრსტი არის) ამლევენ მოიჯარა-
რებს, ეს უკანასკნელები კი ძელ ყურადღებას ან-
ღობებენ თავის ჯიბების გაყვებას.

მეორე უმთავრესი ნაკლი ამ გზისა ვახლავს
მეტისმეტ სიციწრავე. იმდენათ ვიწროა ეს გზა, რომ
ორი ურემი ვერ აუქცევს ერთმანეთს.

თავდაპირველათ რუს-ოსმალის ომის დროს იქ-
ნა ეს გზა ცოტათი შეკეთებული. ხოლო ომიანობის
შემდეგ კი ოცმა წელიწადმა გაიხრიგინა, და
მას აქეთ არაფის მუსვლია აზრათ ამ დღეთ საჭირო
გზის ნაკლის შევსება, შესწორება, გაგანიერება, რი-
განისა, და სა-მელა ბოგირების გაკეთება, რე სხვა..

უმეტეს ნაწილს გურულ გლეხობისას, ამ გზით
გადააქვს თავისი ნაწარმოები საღვურ საჯავახოში.
ხოლო იქიდან კი სხვა-და-სხვა რუსეთისა რე საქათ-
ველოს ქალაქებში ბაზრის მოსაპოვებლათ, ვასაყი-
დათ, მაგალითათ, „ს-ინდი“, ღომი, ნივთის ხე ანუ
„სუნდები“, არაყი, თუთუნი და ამ უკანასკნელ ხანე-
ში აბრეშუმის პარკი. (რაც აუჯარება გააქვსთ ბინე-
მე აქედან სხვა-და-სხვა უცხო ქვეყნებშიაც კი.). ამ
გზიდანვე გადმოაქვს ჩვენში ადგილობრივ გუ-
რულ ვაჭრებს სხვა-და-სხვა სავაჭრო ნივთები, ესე-
ვე გზა ვახლავს „საფოსტა“. ამავე გზაზე დასრია-
ლობენ მუდამ დღე აუჯარება „ეტლები“, დილენისი,
ტრაიკი, რომელთაც დიდ ძალი ხალხი გადაჰყავდ-
მოჰყავთ ხოლმე.

წარსულ წლებებრს მომიხდა მოგზაურობა ამ
გზით და აი რა სურათს წავეწვი: „როცა გადახრი-
ვინდა ჩვენი ეტლი წიფნარის დაღმართში, რომელსაც
ოთხი მძლავრი ცხენი მიაქროლებდა, ჩვენმა „იზოშ-
ჩიკმა“ ერთბაშათ შეწყვილა „ბერგისისა“, ხოლო პა-
სუხათ შემდეგი ხმა მოისმა: პაწი რომ გადაეკანო
ძმარ ხარები, შედობით ოჯახო, ამათ ძალ-ტყვესაც
ველარ ვიპოვი, ისევ გადაჩერე შენი ჰირომე თა-
იტონია—ვედრებით ამბობდა გლეხი. მეეტლემ
ბვერს ეცადა, მაგრამ დაღმართში გაქვენებულ ცხე-
ნებს თავი ვერ შეუშავრა რე ცოტა დააკლდა საბრალო

გლეჩის დატვირთული ურემი კინაღამ ხრამში გადავარდა.

რის ვაი-ვაგლახით გავცილდით მეურმეებს, მაგრამ ვაი იმისთანა ვატილებას: ორ საუკეთესო უღლის ხარის რქები სრულიად მალეწა ეტლის გოგრებში, და მწარეთ აატირა საწყალი მეურმე გლეხი.

ამისთანა შემთხვევა ბევრია ამ გზაზე, მუდამ ასე იტანჯებიან საბრალო მეურმე გლეხები და ეინიკის მიაღწევენ შინ ცოცხალი თუ არა?!

ერთხელ ერთ ქალს ხელი მოტყდა, ერთ საპატრო კაცს თავი გაუტყდა და 12 წლის ქალი სამუდამოდ დაკოქლდა.

ზამთრობით ხომა სრულიად მოწყვეტილი არიან იქაურები დანარჩენ საქართველოს. მთელ ორ ორ თვეობით უჭრანალ-გაზეთებას და წერილებს ვერ ღებულობენ. ერთი სიტყვით ჯოჯოხეთური გზა ეს გზა და აუცილებლათ საქირია მისი ვაფართოება... იმედია ჩვენი მზარის უფროსი, ბატონი ალშობაია, მიაქცევს ყურადღებას და ამ გზას ცოტათ თუ ბევრათ შეაკეთებებს.

დ. ჩოსტაურელი.

თუშების იარი გუჯარი

და როგორ უუკრება ბარის ქართვლი თუშს მე-XVIII საუკუნის დასაწყისს.

(დასასრული) *

III.

მეტი ვაკეით ვაჩვენებ მკითხველს თუშის რელიგიური, ზნეობრივი და გონებრივი მხარეები; აგრეთვე დეინახეთ მას, თუ რა ეკონომიურ მდგომარეობაში იყო მაშინდელი თუში და რა ამოკიდებულება ჰქონდა ამ უკანასკნელს თავის მეზობლებთან: მტრებთან და მეგობრებთან.

აქ დასურათებული თუში თავის ავით და კარგით ჩამოდიდა ბარში, რადგან მას საქართველოს მეფეები უხედათ აჯილდოებდნენ. თუში ჩამოეშა ბარში, მაგრამ თავისი სასტიკი და მკაცრი მხედრული, ხასიათი თან მოჰყვა. ამისგამო თუშმა მალე იჩინა თავი კახეთში: იგი მეღვართ და ერთგულათ ებრძოდა საქართველოს მტერს ბაქელთან ერთათ; მაგრამ იგივე ქურდობდა და ავახაკობდა შუა დღისას შუა კამხეთში: თუში ქურდობდა, ცარცავდა ბარელ მოძის და ჰკლავდა მას კიდეც, თუ ვარემოება მოითხოვდა.

ხოვდა. თუშს არა რწამდა ეკლესია, მისი საკუთრება, მისი წმიდა ნივთები; ის ეკლესიას ცარცავდა და უუურებდა მას, როგორც მომცემ რამეს. ბარის ხალხს ამისთანა შინაური მეზობელი არ ენახა ჯერ; ბარელს თუშის ყოფა-ტყევა პირველათ ხუმრობა ეგონა, რასაკვირვებლია, ბარის ქართველთ არ მოეწონებოდა იმ-სთანა მძა-კაცი, როგორც იყო იმ ქვათ თუში და რომელიც უფრო ყიზილბაშს მოაგონებდა და არა კეთილ მეწოდებელს. ამისათვის ბარელმა მალე შეპზოლა საქართველოს მეფეს და უმოჩინილესათ თხოვა: გვიშეველ რამ, შენი ქირიმი, მოგვეშარე ეს (თუში) და უპატუვებელი სტუმარი, ვაგზანენ იქ, საიდანაც მოსულა... ბევრი იყო თუშებზე ამისთანა საჩივრები, თუ არა—არ ვიცი. ხალხი ის კი ცხადია, რომ მეფე ერეკლემ გამოუცხადა თუშებს 1781 წ. შემდეგ: „მარამ—წერს თუშთ მოურავს დღრამიზანს—კახეთის საფლოებში, საცა ცხეარს აყენებენ (თუშები) ქურდობით, ძალადობით და ეკლესიის განსწისვით ვაგზანენ და ხალხს აწუხებენ... და—განავრძობს ქალღლი—ნურც ქურდობას და ძალადობას მოინდომებენ... და ქურდობაზედ კიდეც მოჰყვინენ“... ასეთი შეხედულება ჰქონდათ ქართველებს თუშებზე XVIII საუკუნე დასაწყისს.

რა საქირია იყო საქართველოს მეფეებისათვის თუშების კახეთში ვადმოსახლება? რა მიზეზმა და მოფიქრებამ გამოიწვია ის, რომ მეფეები წყალობის თვალით უყურებდნენ თუშებს მაშინაც, როდესაც ეს უკანასკნელები ავახაკობას იჩენდნენ სამეფოში? რატომ არ განდევნა მეფემ თუშები კახეთის არე-მარადან, რათ ეტყვიდა მეფე თუშებს ასე რბილათ, შინაურულათ მაშინ, როდესაც მთელი კახეთი—ერთი სამეფო—თანხმათ უჩიოდა მათ? რომ მართლა და თუშს სიავკაცობას უჩიოდა პატარა კახის მთელი სამეფო, ამაზე გვიჩვენებს ზემოთმოყვანილი გუჯარის ერთი ადგილი: ჩვენ (ერეკლემ) ამაზედ კახეთის სოფლებისათვის ბრძანება და დასტური მივიცია, თუ თითო სოფელზედ ორს უფრახე მტერი მიიყვანეს, არც დააყენებენ და ავადა მოეპყრობან (თუშებს) თუ ძალადობა, ან სიავკაცე რამ დაიწყო ვალახენ და უპატიურად ვახდიან და ქურდობაზედ კიდეც მოჰყვინენ (თუშს)*. თუშცა ეს ადგილი პირდაპირ არ გვიჩვენებს, რომ სოფლები უმპყროფლონი იყვენ თუშებისა და ამათზე მეფესთან ჩიოდნენ, მაგრამ უნდა ვიფიქროთ ასე, რომ მეფის განკარგულება იყო გამოწვეული შეწუხებულთ ხალხის მდგომარეობით. ამას შემდეგ დაუფრუდეთ ისევე ჩვენ კითხვებს.

ზეში და მიზანი იმისა, რომ მეფეები კარგად იცოდნენ თუშებს იყო ორა: პოლიტიკური და მორალური. პოლიტიკური მიზანი საქართველოს მეფე-

*) ის. „გლეხი“, № 51.

ბისა თუშების საქმეში სუფევედა იმში, რომ თუშები გაემთავრებინა ბარში თავის მასარგებლოთ, ამ გეგმათ თუშები საქართველოს მთავრობას უყოკეთვისი შედეგით ეყოფილა; შეცდომა თავისი უბრალოდ ეყოფილათ აღსრულებამო მოეყვანათ: როდესაც კი გარემოება მოითხოვდა, მაშინვე გამოჩნდებოდა თუშებს ბრძოლის ეელზე. მართლა და, თუშები იყვენ ნამდვილი მეთაურნი, უფრო მკლავ-და-მკლავ, რასაც მამინ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამას მხოლოდმან არა თუ მართა თუშების ზებრავადმოცემანი და საქართველოს ისტორია (თუმცა ვაჭრით), არამედ რუსების სამხედრო კრებულები და შამილთან ომის თანამედროვე ბ. პოტოკი. თუშეთის ისეთი ეგოკრაფიული მდებარეობა აქვს, რომ იმ დროს შეადგენდა შესანიშნავ პუნქტს სტრატეგიის მხრივ: თუშეთი წინ ელვებოდა აღმოსავლეთის მხარეს დიდა ლეკებს, და ჩრდილოეთით ჩანჩებს კახეთში შემოსევის დროს, აქ თუშები ნამდვილი მეციხოვნენი იყვენ და ამათზე უკეთეს დარაჯებს საქართველო ვერც იშოვიდა იმ დროს. ქისტლები იცნობდა თუშს, და თუშნი იცნობდა ქისტლებს. რომ თუშების მნიშვნელობის და გმირობის შესახებ გავხიდაბული არა არის რა, მაგიეყვანთ ერთი ამბავი, ზებრავადმოცემით დარჩენილი ხალხში. ეს ამბავი მოხდა ღენ. ერეკესის დროს. შამილი, მდგავალი მებრძოლი რუსებთან, მიამომს დაიწყებდა, თხოვდა თუშებს ქამაგობას; თუშები კი შეეღოს სამაგიერთო, ბევრი მტრობდენ შამილს, მაშინ შამილმა თუშებსაც ომი გამოუცხადა, მაგრამ ეყრა ვაწყა რა, მერე შამილმა ისევ ტკბოლი ენით (ეინ იცის, რას არ ჰპარდებოდა თუშებს...) დაითათბირა პირიქითის და ჩაღმაგომეწრის თუშები, უფრო ეინც მომიჯნავეთ ცხარებდა. ამკარათ არის დარჩენილი ის შემთხვევა (ვაკტი), რომ შამილმა თუშეთის ზაგერთა სოფლებში უზნაშებიც (მამასაბლისი) თურმე დანიშნა ღ ერთ წელიწადს ხარჯიც აიღო: კომლზე თითო თეთრი მონი. საქმე მიდგა წოვებზე, რომელნიც უარზე იღვენ შამილის მიმხრობაზე. რუსებმა გაიგეს რა ამ შეთქმულების ამბავი, სწრაფლ გამოიძიება შეუდგენ. ეს გამოძიება შეეხრა წოვა-თუშებსაც, და ეკუთვნიდა არ ასცდებოდა იმათ, მაგრამ რაღაც შემთხვევამ (ამბობენ, ღენ. ერეკესიმ) ააქვინა თუშებს ევანუკული. გარდა ამ მნიშვნელობისა (ლეკებთან და ქისტებთან ბრძოლისა), თუშებს მიუძღოდათ სხვა სამსახურიც: თუშები, როგორც ზემოთ ითქვა, ერთგულათ და შეუპოვრათ ებრძოდენ საქართველოში შემოსეულ მტერს და აგრეთვე ხალიჩიანათ მისდევნიდა საქართველოს ჯარებს მტერზე ვალაშქრების დროს. ეიმეორებთ, რომ ამისთანა მეთაური ყოველთვის ახლო და ხელ-ქვეშ უნდა ჰქოლოდა მეფეს.

როგორ უნდა მომხდარიყო ეს? მაშუგების წყქობით ღ სხვა უფლებების მიღებით. ამ გეგმათ თუშნი მონადეზბოდა...

რა ეკონომიურ მნიშვნელობას აძლევდენ მეფეები თუშების ბარში ვადმოსახლებას, ეს უფრო ცხადია. თუშებს მეფეები სრულებით დაიპირიქობდენ და ვახდიდენ თავის ნამდვილ უფრ-მოკრად უმათ. ამ გეგმათ, საქართველოს ხაზინას თუშის ნაგრობიცი შემატებოდა. პირველ ხანებში თუშს საკომლო ვადასახას მეტათ მცირეს ართმევდენ... და თქვენ როგორც ძველთავან ან სახალხად და საუთლევ გრთეოდესთ და საკომლო ისე გამოავტრამეოდესთ... ა, ამბობს თეიმურაზის ღ ერეკლეს გუჯარი. ექვი არ არის, საკომლო ვადასახად თან-და-თან მოუმატებდენ. ბევრი ხანი აღარ ვეიღოდა, ღ თუშნი ჩავარდებოდა იმავე ეკონომიურ მდგომარეობაში. თავისუფალი ხალხი მონადეზბოდა, ჰვარავადა და მთიანურ სახეს... ამ არა ვეთილ საქის შესრულებას შეუდგა საქართველოს მთავრება, მაგრამ ევლარ მასწრა, აღარ დასცალდა... სკუთრებას, ვარდა ეკონომიურ მნიშვნელობას, დიდი გავლენა აქვს ადამიანის ფსიხოლოგიაზე, ეს მეფეებმა და სხვა მეთურთაც კარგათ ეცნოდათ; ამიტომ მასცეს თუშებს მამული კახეთში და ამ მხარის საქმეები მეზობლებთან ერთათ საერთო ინტერესებთ ვაუხადეს. მეფეებმა საქმარისათ შეიკენეს ის მოვლენა, რომ კაც ებრძვის მტერს, ან მოკლას და წაართვას მას რამე, ან თუ არა და დაიკვას სკედლისაგან თავის თეი, ცოლ-შეილი, თანამომე, შეიჩინოს საყურეკას და როგორც შედევი ამისა, კაკი უშკლავდება მტერს, რათა დაიკვას თავისუფლება მთელი ერისა. და ეინც უმტყუნებდა ამ წმიდა მოვალეობას, ივი იყო წყეული და დევნილი ერისაგან... ამ გეგმათ მეფეებმა თუშები ნელ-ნელა, ტკბილი ენით, მამობრივ ელვად-ქვეით ჩამოიკუთვლეს ბარში და უნდა ვეიბათ ვატან-ეზობის მახეში... ერისთავების ცხიერი მქედროლი პოლიტიკა არ გამოდგა ამ საქმეში; თუმცა რამდენჯერმე შემუსრეს მთიელები, მაგრამ არც ესენი აღლებდენ თავიანას; შესაფერ პასუხს სცემდენ ბოროტ ვანზახულებით შემოსეულ კაცებს. მთიელები თავისუფლებას ისევ იბრუნებდენ...

რა დროიდან იცნობდენ საქართველოს მეფეები თუშებს — ეს ჩვენ არ ვიცით, თუმცა, 1757 წლის სიკელი, უწოდებს თუშებს საქართველოს მეფეების ყმათ. „სახელიდან ღეთისათა — ასე იწყებენ ან სკელის თეიმურაზ და ერეკლე — ჩვენ იესიან დეითიან სოლომანიან პანკრატეან საქართველოს მეფედ ცხებულმან პატრონმან მეფედ-მეფემან თეიმურაზ ღ ქემან ჩვენმან კახთ მეფემან პატრონმან ერეკლემ და საეარელომან ძის ძემან ჩვენმან ორთავე საქართვე-

მცა მისი წარწერა არ ჩანდა. მოვიყვანათ ეს ბრძანებულება: ჩვენი ბრძანება არის, თუშთ მოურაო ზურაბ, პანკისი ხმა ჩვენი სახსო არის და შენი სახელიო ახლო ესენი (?) მისი და ბახტრიონს ციხეში მასხა ზე ილიე ჩვენი სახსო არის იქ დაყენე ბეჯითი შეიქმე დაყენებზე კარგად გვემსახურენ იქილამ*. ამისთანა უთავ-ბოლო წერილი, უეჭველია, სიყალბის მეტს არას წარმოადგენს. ჩვენი აზრით, ამ ბრძანების რედაქცია ლუარსაბ კობაშვილის უნდა ეკუთვნოდეს.. ეს საქმე ჩვენი ასე წარმოგვიდგენია. შიშინაობის დროს, როდესაც დილა-ლექვები და ქისტები აწუხებდნენ, სხვათა შორის, კახეთის ჩრდილო მხარეს, ამ გლეხებს პანკისიდან გადმოასახლებდნენ ბახტრიონში. ეს გადმოსახლება მოხდებოდა დროებით და თუშების თანხმობით. როდესაც საქარო დრომ მოაღწია, თუშებმა თხოვეს ახალ მთავარბას, რომ ბახტრიონში მცხოვრებნი სხვაგან გადაესახლებინა; აქაც უნდა ეთქვათ საზღალოთ, რომ გუჯრების შინაჩხი მეტათ არეულ-დარეულია, სწორეთ იმ დროს, როდესაც თუშებსა და ბახტრიონელებს შუა იყო გაქსარებული დავა „ალონის“ შესახებ, პანკისი უკვე თუშებს ეკუთვნოდა. მეფე ერეკლეს 1761 წლის გუჯარში ეკითხულობთ შემდეგს: „უშაველები რომ პანკისზე ეტანე ბიან, იმაში უშაველებს საქმე არა აქეთ, თუშებისა არის“. ბახტრიონის 19 კომლს წასვლის გზა აღარ ჰქონდა: ალენისა და პანკისი თუშებს ეკუთვნოდა. შემადგენსა მთავრობამ დაინახა ეს და, წინააღმდეგ სიძველბისა, 19 კომლი დაასანა თუშების მამულში. თუ პანკისი იმ 19 კომლს ეკუთვნოდა, მაშინ რეკლემ თუშებს რათ მისცა ეს ადგილი? აქ უნდა ეთქვათ ასე. თეიპურაზ მეფემ გადმოასახლა პანკისის ხალხი ბახტრიონში დროებით და ისარგებლა ალენის გუჯრის იმ ადგილით, რომელიც შემოათაც მოციქავეთ. ენიციკინ მოხარევედეს საღლოს მიწის ღალის ჩვენ უნდა მოაკეცდეს*—ო. და რადგანაც ერეკლეს დროს ეს 19 კომლი უკვე ალენში ცხოვრებდა და იკოდა, რომ ესენი პანკისიდან არიან, ამიტომ გლეხები დატოვა ბახტრიონში ზე ამის-სამაგიეროთ თუშებს მისცა პანკისი, თუმცა ეს ვარგებება წერილით არ დაასაბუთა. ერეკლეს 1797 წ. ბრძანება თუშთ მოურაგზე დაახლოებებით ამტკიცებს ჩვენ აზრს. ამ ბრძანებაში მეფე წინადადებს აძლევს მოურაგს ზე თეთ თუშებსაც, რომ უკანასკნელებმა „ღალისყურეთ. ფშაველი და მალჩანეთ* არ დუშალოან ალენის მოხენა. აქ ბახტრიონელები არ არიან დასახლებულნი. მაშ, უნდა ეთქვათ, რომ ბახტრიონელები უკვე ხნაუდენ თავის სიძველის გარშემო ადგილებს, თუშები ამათ არ უშლიდენ, და ერეკლე ბახტრიონელებს უყურებდა, როგორც სჯე.

ბახტრიონის მემკვიდრეთ... ახლო ისეე საჩივრის საქმის დაეუბრუნდეთ. რადგან ბახტრიონი ალენის ნაწილი იყო, ამიტომ თუშებმა მიმართეს მთავრობას, რომ გლეხები სხვაგან გადაესახლებინა. ამ რიგით საჩივარი მეტათ გზავილდა: დაწვებული 1808 წ. გათავდა 1831 წ. ალაგობრივმა მთავრობამ თუშების საჩივარი შეიწყნარა და გამოსცა ბრძანება: „ბახტრიონის ძველ მცხოვრებს პანკისიდან გადმოსახლებულებს, მიერეთ საზღაურობის ნება თავის უწინდელი მიწების პანკისში, (?) ან იმულობელონ თუშების მიწებით და აძლიონ მათ ღალა, ნება-ყოფლობის და ურთიერთ შორის თანხმობით; და თუ ეს არას სურთ (გლეხებს), მაშინ თხოვენ მთავრობას, რომ სახელმწიფო ადგილი სადმე მიეცეთ.“ (რუსულიდან) მთავრობა აძლევდა ამისთანა განკარგულებას იმ დროს, როდესაც პანკისის გუჯარი ხელში ჰქონდათ. ეს საქმე ვალაჩანეს სენატში, რომელმაც სულ სხვა თვალთ შეხედა ამ საჩივარს. სენატმა დაადგინა: „თუშებმა და ძველ ბახტრიონელებმა ერთათ ისარგებლონ ალენის მიწებრით და დაელო სახელმწიფო მიმართელობას, რომ ამას მიემატებინა ალენის მიწებისათვის სახელმწიფო მიწები, თუ ამში იქნებოდა მოთხოვნილება“ ალენის გარშემო სახელმწიფო მიწები აღარსად იყო. წინადადება წინადადებათ დარჩა. ასე და ამ რიგათ 19 კომლი დღემდე სჯე. ბახტრიონში ცხოვრებს. სენატი თავის აზრს, 19 კომლი შესახებ, ასახულებს კიდევ; ის ამბობს: თუშების სიძველბი არ ამტკიცებენ, რომ მიწა (ალენი) ნაბოძებია მათთვის (თუშებისათვის) საკუთრებთათ, ზე საბუთათ წარმოადგინეს — „при ближайшем грамоте сихъ разборѣ, извѣдую общихъ началъ прежде бывшаго въ Грузіи владѣнія землями“. ჩვენ არ ვიცით, იმ დროს რა გვარი მფლობელობა იყო საქართველოში მიწის. ევრანებთ, რომ ახლაც გამოურკვეველია ჩვენი თვის, თუ რა სხვა-და-სხვა ხასიათის მფლობელობა მამულისა ჩვენ სამშობლოში. მაშ, ვინ მისცა მაშინ-დღელ სენატს ის საბუთები, რომელზედაც დააყარა თავისი დედა-აზრი თუშების წინააღმდეგ? საიდან ვამოძებნა: „извѣдую общихъ началъ прежде бывшаго въ Грузіи владѣнія землями“? ეს ხრიკი ვიღამაც გამოადა თუშებს და კარგათაც ჩაუქირა: ალენის კი დიდი წილი შერჩათ ბახტრიონელებს. გუჯრიდან არა ჩანს, რომ „ალონი“ საკუთრებთ ეძლეოდათ თუშებს, როგორც ამბობს სენატი. მაგრამ ის კი ყველასთვის აშკარაა, რომ სიგელი იმ პირობებით აძლევს თუშებს ალენის მიწარს, რომ ეს მამული სამუდამით ჰქონდეთ მათ და არც ახვან იქმანს დასასჯელება მისზე. 1757 წლის სჯელი ყველას აშკარათ აგონებს: „ამ რიგად ეს წყალობა გვიქნია, საცა ალონის ად-

გილში სოფელი არ ყოფილიყოს და დღეს არც ჩვენ და არც შვილმან ჩვენმან აქ სოფელი არც დასასწავლს და არც აჯაშინათ ჩვენ და არც ჯალხისს ადგილი და მაწა გავსტუთ თქვენიის და შვილთა თქვენიისათვის ამ რიგად გვიბოძებია ჩვენად ერთაულობისთვის და სამსახურისათვის. სამკვიდროდ. ასე გიბოძეთ რაგვარადაც ამ სიგელში დაგვიწერია არ მოკავალხოს ჩვენგან და არც სსკათა ჩვენთა შემდგომთა მუყუთა და მემარტონჯუთაგან. არ ეციოთ, სენატმა როგორ აიხსნა ეს ამონაწერი ადგილი, მაგრამ რაც შეეხება ჩვენ ფიქრს— ეს კი ცხადი და მარტყია: ამაზე მეტე საკუთრების სიმკვიდრე თუ შეებისათვის, სწორე მოგახსენოთ, აღარც საქირო იყო. საკვირველი და გაუგებარი საქმეა: როდესაც თვით საქართველოს მფევები სამუდამოთ და საშვილის-შვილოთ ხელს იღებდენ „ალონის ადგილზე“ თუ შეების სასარგებლოთ, მაშინ სენატი ალენის ნაწილს აძლევს სხვას და ახახლებს კიდევ?!...

ამ გვართ, თუ შეების უცოდინარობისა, უთაურობის და მთაერობის საქმის გამოურკვევლობის გამო, თუ შუამბა დაჭარბეს სხვა-და-სხვა უფლებმა, რომელიც ჰქონდათ მინიჭებული ორი სიგელით (1757 ზ 1781 წ.): მაგრამ ახლა რაღა გავწყობა: ეს ამბავი ისტორიულ ფაქტათ ვახდა...

დ. ალბანელი.

შენ მოაგვევლინე განგებით, ციური გრძნობით აღაშენილო; შენით ამყოფს ქართველი, უმანკო მხარეს შობილო.

საქვეყნო კირმა მეც მძლია, გულმა დამიწყო ძგერაი; იმ ღრას სიღამაც მომგმა შენი „ფანდურის“ ქლერაი.

მისთვის ბეჩაემა-მუტრბმა ავიღე შიშით კალამი; მინდა... ვაიმე, ეერც ვებდაე... შორით მოკიდუნა სალამი.

და მისთვის შეეკრთი, შეეჩერდა, მსწრაფლოთ გავგაფე კალამი; ვთქვი გულში: „ნეტა რა მრჯდა? ეს გაუშებდე სალამი?!“

გომა-ჯისაიშქლა.

„სამხეტრი ბელლეტრისტიკა“.



ხლოთ გამოვიდა სომხის ახალგაზდა ბელლეტრისტის შირვანზადეს ახალი მოთხრობა, „ბენედიანი“. მოთხრობის შინაარსი აღებულია ჩენი ცხოვრებიდან და გამოყენილია ძველი თაობის ცრუმორწმუნება. ღარიბი ოჯახისა და ღარი მამის შვილი, შენიფერი სონა ძიანჯება ბენედი. დღე-მამა მას კარში არ უშვებს, რომ არაფერ არ შეიტყოს მისი ავითმყოფობა და ბედი არ შეეკრასო. ბედისწერა მას შეხვედრებს ერთ კეთილს და კარგ ვაჟს, რომელიც ირთავს სონას, მაგრამ იმ ვაჟის დედა და რძლები, ავი თვალით შეხედდენ სონას და უნდათ შეძულან ქმარს, მაგრამ ქმარს ძალიან უყვარს ცოლი და მუდამ სტუქსასდღედას და „ჩიბლებს. მათი სონასადმი სიძულელი ძრიელდება მაშინ, როდესაც გაუგებენ, რომ სონა ბენედიოთ არის შეგპრობილი. მაშინვე დაიბარებენ ერთ სპარსელ ექიმ დედაკაცს, რომელიც ჯერ დაუწყებს წამლობას და ბოლოს კი, როდესაც სონას ბენედა მოუვა, დედაკაცი ჩავდებს მას ქურსის ქვეშ, დაჰკეტავს კარს და ფანჯარებს და დაახრჩობს მას ნახშირის სუნიოთ. ამ შინაარსით ძრიელ ხელოვნურათ და სანტიმენტალურ-


მ გ ო ს ა ნ ს

კუძღვნი რაფ. კრისთავს

მგოსანო, შენი სიტყვები, ლეთისაგან კურთხეულია; შენი ნაღველი მელანში გაღვსილ-ჩარეულია.


სამელნე შენი გულია, მელანი შენი ნაღველი; ერი არს შენი კალამი, ქალაღდი წუთისოფელი.

შენი უკვადი სიტყვები ფარია წყლული გულისა; ჩანგი უებრო მელრალი, აღმურთოგინებელი სულისა.



რათ არის მოთხრობა დაწერილი. წიგნი სუფთათ არის დასტამბული, შვიცავს 159 გვერდს და ღირს 50 კაპ.

დ. ტ. ლ-ცხ.



ბ ა ლ ე ბ ი .

(ვერომ-ე.ვერომისა, ინგლისურადან)



ბ, როგორ არა, ბერი, ბერი რომ მაქვს ბალღებზე სათქმელი. მეც ერთი მათგანი ვიყავი ერთ დროს. მართალია, მას აქვთ გრძელი მანძილი არ გამოვლია, ბალღის ტანისამოსის სიგრძე თუ იქნება, მეტი არა. მასხარეს, ერთობ გრძელი ტანისამოსი მეცა: პაწია ფეხს რომ გავიქნევი, ყოველთვის ტანისამოსი მედგობდა. რათ უნდათ ბალღებს იმ სიგრძე-სიგანე ტანისამოსი? ნუ თუ გამოცანაა? მე ამის ახსნა მიწადა გავიგო. ვერ იქნა, ჩემ დღეში ვეზაიენ გამაგებინა. იქნება შშობლებს თავისი ბალღის ტან-მოკლეობის რცხენითა და ამნაირათ უნდათ დააჯრონ ხალხი, რომ იკი უფრო გრძელია, ვიდრე ნამდვილათ არის. ერთი ბალღის ძიას ცკით-ბი მიზენი, მან მიპასუხა.

„დილა, ბატონო, ყოველთვის გრძელი ტანისამოსი აცკით ხოლმე, მათი პაწია სულის კირიმეო.“

„მართალია, მაგნაირი პასუხი შენ წარწარ ხასიათს მოწმობს, მაგრამ მით ჩემ გაკვირებას მაინც არაფერი ეშველება მეთქი“, — ეუბასუხე.

„როგორ, ბატონო, ვანა თქვენ მოკლე ტანისამოსს ჩაკემეოთ ამ საკულდაე პაწია ანგელოზებსა?“

— გაევირა ძიამ. იმისთანა ცილოთი კი მითხრა, კაცს ეგონებოდა, „იჯმნის ეშმაკისაგანაო.“

მასუკან ისე ვარ დაშინებული, რომ ამ სავანზე აღარაივის ევლარაკები და მართლა, თუ შესაძლებელია აქ რაიმე მიზენი, — დღესაც საიდუმლოობაა ჩემთვის. ჩვენ შორის დარჩეს, და საზოგადოთ ბალღების ჩაკმა მე სისულელე მეწინაა. ახა, ერთი იფიქრეთ: ცხოვრებაში ხომ ჩაკმა და ვახდა მირავალგერ უნდა გამოიაროს აღმინანა და ვანა მიანცა და მაინც იმ დროს, როდესაც ეს მისთვის საჭირო არ არის, იგი უთუთათ უნდა შეუდგეს ამ საქმეს? ყოველ შემთხვევაში, ეს სატარჯველი უნდა ავაშორით პაწია ხალხს, რომელიც ლოგინში ცხოვრებს. რას ერჩით, დილ-დილაზე რომ აღვიძებთ საკულდაე პაწიებს, ვახდით ერთ ბოხან ტანისამოსს, დააკრავთ ახალ ბოხან-ტანისამოსს და ისე ლოგინში ჩააწვენთ ხოლმე? კიდევ ლამე რომ ამოაფრიალებთ ლოგინიდან, ისევე გამოუტყლით ყველაფერს და უკანვე ჩააფრიალებთ?

ყველა მავებს რომ მოჩრებით, ერთი მიპასუხეთ, თუ ღმერთი გრწამთ, რა განსხვავებაა ბალღის საღამური პერანგისა და იმ საშოსელ შორის, რომელიც მას დღე აცეია ტანზე?

ციცი, რომ ამისთანა კითხვებზე საპასუხოთ ცარიელ სიცილს დამყარით, ამიტომ ვაგრძელები, ამ სავანზე აღარაფერს ვიტყვი, ერთი უკანასკნელი კითხვა უნდა მათქმევინოთ კი. ჰქონდეს ბალღებს ტანისამოსი, მხოლოთ ეს ეკითხოთ: ვანა არ შეიძლება ბალღების ტანისამოსს სხვა-და-სხვა გარეგნობა მიეცეს, ისე იკერებოდეს, რომ მით ქალისა და ვაჟის გარჩევა შეუძლებლად?

ახირებულა საქმეა, ღმერთმანა. ბალღის ვერც თმა, ვერც ტანისამოსი, ვერც ხმა ვერაფერს შეგატყობინებთ მის შესახებ, და მხოლოთ თქვენ გულთმისწობას უნდა მიენდით. რალაც იღუშალი ბუნების კანონის ძალით ყოველთვის უკუშმა გულთ მისწობთ ხოლმე, ამ შემთხვევაში და ამ გვარი შეცდომა შეურაცხყოფას აყენებს დედ-მამას.

ვანა საშინელბა არ არის, კაცმა ვაქს გოგო დაუძახოს! საშინელებით მხოლოთ ერთი რომ თუ შეედრება ამას: გოგოს ვაფი თუ დაუძახეთ. იმ სქესის ხსენება, რომელსაც ბალღი არ ეკუთვნის, შშობლებს ეკავრებათ.

ამოწყვიტეთ ერთი რომელიმე ფრიად პატივცემული დიდი ოჯახობა, ღმრებთ ქალაქის აუზი ავსეთ, ან ერთა რომელიმე ეკლესია ვაძარცვეთ, და დარწმუნებული იყავით მართო მღვდელი კი არა, მთელი ქვეყანა შეიტყობს თქვენ ამბავს, და თუ მაინცა და მაინცა გსურთ, თქვენი მოყვასისაგან გადმონთხული ზიზღისა და მძულვარების ფილა გამოცალით, ახალგაზდა დედის თვალწინ მის ძვირფას ბავშს ნაცულ-სახელი დაუძახეთ.

ერთათ ერთი ლამაზი მოსახერხებელი სახელი ამ შემთხვევაში „პაწია ანგელოზია“. სიტყვა „ანგელოზი“ საზოგადო სქესისაა, ამიტომაც ამ შემთხვევაში ფრიად გამოსადეგი: მას საწესდოთ ღმერთი მიეგებებინა შშობლები. „გერტიცა“ და „მარგალიტიც“ გამოსაყენებელია შიგა და შიგ. „ანგელოზის“ — სახელი კი ყველაზე უმტკიცესია, თქვეთვის უდიდესი ნდობისა და სათნოების მომხმეჭველი. ამ სახელს მოკლე ღმილი წაუძმღვარეთ წინ და უკან გრძელი ხითხითი გამოუყენეთ. შემდეგ, რაც უნდა მოხდეს, არ დაგვიწყედეთ და თქეთ, ბავშს ქვეშაბრით მამა-მისის ციკერი აზის სახეზე-თქო. ამ ხერხით საუკუნოთ მიცეგებთ შშობლების გულს. ვერ გაეცინებათ, არ დაგიჯერებენ, „ოჰ, რებს ამბობთო“; — გეტყვიან; თქვენ კი ნუ მოეშვებით, გული ააღვლეთ და დაუმტკიცეთ იმათ, რომ ნამდვილს ლა-

პარაკობთ. არ იფიქროთ, პირველობით მომივა და შემდეგ სენინდისი ქენჯნას დაიწყებომა: პაწია არსების ცხვირი მართლაც ისე გაეს მამა-მისის ცხვირს—როგორც ყველა სხვა სავანს, რადგან იგი ჯერ გამოუჩვეველია.

გვერდს ნუ აღუხვეთ ჩემ დარიგებას, მეგობრებო. მივა დრო და გამოვადგებთ, წრფელ მადლობას მიძღვნივთ, ჩემი სიტყვებით რომ გვახსენებდით მწარე გასაჭირში, როცა თქვენ თვალ წინ ბაღს გამოიკვანინე, მარჯვნივ დაუდგება დედა, მარცხნივ—ბებია, უკან—ალტაცებული ქალების გროვა და წინ—თავამოტვლეპილი მამა და ბიძები. ნამდვილი მწარე დღე მაშინ დადგება ხოლმე ყმაწვილ კაცს, უცლოლო ახალგაზრდას, როდესაც „ამ წიხს ჩემი პაწია უნდა გაჩვენეთო“—ს გააჯანგებენ. ცივი ჭრუხტელი დაუფლის ამ სიტყვების გამგონეს, მწარე ღიმილი მოუგრგეს იმ ტუნჩებს, რომელნიც „ძრიელ სასამოვნო იქნება“ს გამოთქამენ.

ღარკვს ზარი და ძიძას ბძინება აუგზავნეს, ბავში დაბლა სასტუმროში ჩამოაყვანეთ. ეს პირველი ნიშანია, და ყველა იქ თავმოყრილი დიაცნი იმ წამს ბაღის საბოლოო გაბმენ ტიტატის; თქვენ კი მარტობაში, თაუთარ მწარე ფიქრებს უნდა მისცეთ თავი და გულში ფიქრობთ: რა იქნება, რომ უეცრათ რაღაც საჩქარო საქმე მოვიგონო, დამიჯერებენ თუ არა?

აი, ამ მდგომარეობაში გამოაწვია თქვენში შემდეგი მოსახრება: ავდგები და ვიტყვი: „გარეთ უცხო კაცი მრცდის-თქვენა“.—ამ დროს გაიღება კარი და შემოვა მაღალი ტანის, თვალ-მკაცრი მანდილოსანი; ხელში რაღაც უჭირავს, პატარა ტყეის ბალიშის მსგავსი, რამელსაც მაღლა ერთ ადგილას, თითქოს ბუნდელი გამოაყვია ვაჭრითა. ნამდვილათ ბაღი უნდა იყოს, გულისხმობთ თქვენ, წამოადგებით და ცდილობთ; ალტაცებული თვალით დაუხედეთ ამ მოვლენას. ამოხეიქა დასწრე ქალთა გულიდან ალტაცების შარდევანმა, იხმაურა, იხმაურა და დადუმდა, ახლა საბითონი ერთ-ხანთ მოსწონებულ ქალი-ლა დარჩა; და შორდენ ერთმანერთს შრიალ-შრილა კანებდა და ბაღის მიმართ თქვენ თავისუფლონა გზა გაკვსნათ. აი, გადადგით ბიჯი და ის დღე დავადგათ, რაც გამოკდის დროს პაწია შაკირდებს ადგია ხოლმე; დეგხართ უძრავთ და ბავშვს მწუხარე თვალთ შეტყვინხართ. ირველიე სიუჟე სუჟეებს: ყველა თქვენ სიტყვას ელის. ცდილობთ, ფიქრები შემოიკრიბოთ და გამოთქვით რამე, მაგრამ დახეთ უბედურებას: თქვენი ფიქრთა წყარო უეცრათ გამჭრალა და გაპარულა სადღა, სასოლოდის წარმკვეთი უნუგვმო წუთითა, მენე სული სარკებლობს ავით და რაღაც გიჟურ სიტყვებს ჩატრირულებთ ყურში; მათი გამოთქმა და თქვენი

დალუბა ხომ ერთი იქნება. თვალს მოაეღებთ ირველიე და „ეს რა პატარა თმა ჰქონიაო“, გამოთქვით საცოდავი ღიმილით. ერთ წუთს არაფერ გამოცემთ მხას. ბოლოს ახოვანი ძიძა გეტყვის დინჯი კილოთი: „არაფერი გაუგონია, რომ ხუთი კვირის ბაღს გემე-ლიო თმა ჰქონდესო“. ისეე ჩამოვარდება სინუტა, თქვენ მოითქვამთ სულს და ისეე იტოვებთ, ანეტა სიარული თუ იცის, და ან რას აქვით ამ პაწიაო“.

ეს სიტყვები საცოდაო, რომ იქ დასწრეთ თქვენ ჭკუათა მყოფლათ არ ჩავთვალონ და თქვენდამი მათი პასუხი—სიბრალოდით საესეა. ძიძას კი გადაწყვეტილი აქვს გულში, ჭკუიერსა თუ უჭკუოს, არ მოგშვასთ და სატანჯელში ბოლომდე გაგარონოს. იგი გავიწყდით თვის ბოხნა-საუწყვეს და დიდ მონაზონთ უხუცესის კილოთი გეუბნებთ: „ხელში დაიჭირეთ, ბატონო ჩემოო“. თქვენი სული ღ გული ისე დაითრგუნა, რომ ევლარაფერი წინააღმდეგობა შეგიძლიათ და ცოცხალ პაწია ბოხნას ნახათ იღებთ ხელში. „წელს ქვეით დაუჭირეთ ხელი, ბატონო“, ამბობს მონაზონთ უხუცესი და გარეშაო ყველანი უკან დაიხეიან, თითქო თქვენგან რაღაც ოინს ელოდებანო.

თქვენ ახლა ისე არ იცით, რა უნდა მოიმოქმედოთ, როგორც წინათ არ იცოდით, რა უნდა გეთქვით. ცხადი კია, რომ რაღაც უნდა ჰქნათ უსიკვდილოთ. აი, იღონეთ ერთათ ერთი ღონე: ააქანეთ უხედური ბაღი მალა, იმ წამსე ჩამოაქანეთ დაბლა და ისეე მოგესმათ ძიძის ვაჯავრებულ სიტყვებს; „ნუ ანჯღრევთ, ბატონო, პაწიას მეტი კი არ უნდაო“. თქვენ მაშინვე ეცდებით მეტათ აღარ შეიჯღრიოთ და ელოდებით, რას გამხვლთ შემდეგ თქვენი ბედისწერა.

აქამდის ბაღი შემინებულ და უკემური თვალით გიქვრდით, ახლა კი ჩინებულ ღონეს იღონებს—უეცარსა და მწარე ყვირილს წამოხეთქს. იმ წამსე გეცემათ მონაზონთ უხუცესი, საუწყეს ხელიდან გამოგვლეფთ და დაუწყებს რუყვას: „ნანა, ნანა, ჩემო ვარსკლავოო!“—„უეცაროა“,—გაიხუჭრებთ თქვენ, „რა მიზეზია, ასე რამ ააყვირაო“.—„იჰ, მე ვიცო, რამ, რამეს ატყვდიოთ და იმანო“, გიპასუხებთ გულმოსული დედა: „უმიზეზოთ ბაღი თავის დღეში არ ატრიდება ასე მწარეთო“. ცხადია, ფიქრობენ თქვენზე, ქინძისთავი შეურტო საცოდავ ანგელოზს ამ საძაველმარ. ბოლოს დამშვიდდა მჭკვირალა ანგელოზი. „ახლა აღარაფერი გვიჭირსო“,—ამოითქვა ყველამ სული. ამ დროს ვიღაც ახალი შემოთის თავი გამოხტება, თქვენზე ანიშნებს და ეუბნება ბაღს: „ეს ვინარის, ჩემო პაწიაო? და შეგნებული არსება ამ წამსე გინცობთ თქვენ და წინანდლებე უფრო ძრიელ აყვირება.

ამ მოვლენის თაობაზე ერთი ვინმე მოხუცებულ-ლი, მსუქანი მანდილოსანი გამოთქვამს თავის აზრს: „უცნაურია, ასე რათ ეჯავრებათ პაწიებს უცხო აღ-მიანიო?“, „ოჰ, აი, თუ იცანა, რათ ეჯავრებათო.“, უპასუხებს „მეორე იღუმალი კილოთი.“ „საკვირველი იმ-ბაიო, და ჭკარის კერის მესამე.“ შემდეგ ყოველი ამ მყოფი განზე დაიწყოებთ კტერას, თითქო დარწმუნ-და, რომ თქვენ ორ-ფეხა „ჯოჯოხეთის მამალა“ ბიანდებთ. „დაილოცოს ღეთის სამართალო“, თი-ქრობენ გულში,— „დიდებისათვის გაუგებარი ამ ევ-ბატონის იღუმალი ვითარება უსუსური ბაღლის გულთა-მხილაობამ გამოაქვეყნაო.“

ეს ასეა, მაგრამ ყველა სიუბაკობასთან სიკეთეც მოღვათე. პაწია ბაღლებსა ანუთე მოღვათე, როცა ცარიელ გულში დამკიდრდებიან ხოლმე; სიკეთე მოღვათე, როცა მათ ხმაზე ცხოვრების ჭირ-ფარა-მით დაღრუბულული სახე სიყვარულის სხივებს გამო-სცემს; სიკეთე მოსდგამთ, როცა პაწიან თითებით აღამიანის სახეზე ნაოჭებს ვაშლიან და ღიმილათ აქტევენ ხოლმე.

უცნაური პაწია ხალხი! იმათ არც კი იციან, რომ ამ წითისოფლის დიდ სცენაზე მოთამაშენი არიან! ცხოვრების მძიმე დრამას იმათ მხიარული ღი-მილი შესძინეს. თეთროეული მათგანი, თუმცა პაწია, მაგრამ მტკიცე წინააღმდეგობა ამ სოფლის საზოგა-დო წეს-წყობილებს; ყველა მათგანი ყოველთვის მოქმედებს უღრმო დროს, უალაგო ალბას, და უხერხული ხერხით. ერთმა ვამდელმა კარგათ იცოდა ბავშვების ხასიათი, როცა დაბლა, ცხოში ტერენის გზავნიდა, თან აბარებდა, ნახე რას შერებთან ტუტი და კიტო და დაუშალე, ნუ შერებთ მაკასა-თქო. თვალი მოაშორეთ ერთ წამს პატარა ბავშს, რთ თუ იპის-თანა რამ არ ჩაიდინოს, რაც არ უნდა ჩავდინა, მა-შინათვე ექიმის დაბარება დაეკირდებთ.

ზეშვებს სასაცილო მოქმედების უმაღლესი ნი-ჭი მოღვათე, და ამ სასაცილოს ისე დინჯათ და მკაცრათ ჩაიდენენ ხოლმე, რომ კაცი წინააღმდეგო-ბას ევრ გაუწევს. აი, თითქო მძიმე საქმეს შეუდგე-ნო, ორმა ბავშმა მისცეს ერთმანერთს ხელი და შურდულ იგით გაექანენ აღმოსავლეთისაკენ. ამ დროს კი მათი მოზრდილი გულ-ამდგრეული და შექყვიის მათ, აქეთ, დასავლეთისკენ წამოაყვითო.

ბავშვები გარს დასტრიალებენ დაჯჯ სალდათს, დიდი ცნობისმოყვარეობით უყვარდებიან მის ფე-ხებს და წიხლს ჰკრევენ ხოლმე, იმის შესატყობათ, ცოცხალი თუ არაო. ხალხით სავსე ქუჩა სწორეთ იმისთანა ადვილათ მიანიათ, სადაც თავისუფლათ ხმა-მალა შინაურ საქმეზე საუბრე შეუძლიათ. ქუ-ჩა ჯვარედინზე უყვრათ ხალისს ათუელისთ და ცე-

კვას გამართვენ ხოლმე და, თუ პაწია ჩეჭმების ვახ-და მოუნდათ, უყველათ იმისთანა მალაზიას აირჩე-ვენ, სადაც ბევრი ხალხი ტრიალებს, რ მის გასავალ კარებში დაბძიდებიან.

სახლო კი, დაბლა სართულიდან მალა ასე-ლას რომ დაპირებენ, სათონარკოთ მამის უშველე-ბელ ჯოხს, ან დეღის ქოლგას გამოძებნიან; ვაშლილ ქოლგას კი უფრო ტანებიან ამ შემთხვევაში. უყე-რათ იგრძობენ ხოლმე ისინი, რომ მრეცხავი ქალი ანა ვაგიყებთ უყვართ, სწორეთ იმ წუთს, როცა ეს ერთგული მანდილოსანი სარტებს ლილას უშერე-ბა და არაფრის გულისთვის არ მოეშვებიან, სანამ რამდენჯერმე არ ჩავხუტებიან გულში. კატას ხომ ისე ვერ გამოუტყნადებენ სიყვარულს, თუ პირ-ამა-არ გადაბარუნეს, ვერც ძალს, თუ უკლებ მწარეთ არ დაეპირეს ფეხი.

დიდი დავიდარბისა, დიდი აურ-ზაურისა და ხარ-ჯის წყარო არიან ეს პაწიები, მაგრამ თქვენ მიინც ის ოჯახი, სადაც ისინი არ არიან, ოჯახათ არ მიგა-ხნიათ. არ დერქმის „შინა“ იმ სახლს, სადაც არ ისმის მათი ენის ჭიჭიკი და ხმაურობა, სადაც მათი მარცხანი ხელები არ ცოდელობენ. განა ღუმელი არ აღისავლურებს იმ ოთახებში, სადაც არ ისმის მა-თი ფეხის ბრავა ბრუჯი; განა თქვენ არ აღიქვამებო-დით სხვა-და-სხვა მხარეს, მათა ჭიჭიკი-ტუტუკი რომ არ გიძახოდესთ?

ქუშმართება ყველა ეს, მაგრამ მე მიინც ზო-გჯერ მომსვლია ფიქრათ, რომ მათი ნორჩი ხელები დაშორებისა და განხეთქილების მოამქმენდი არიან. სისულელია, კაცი აღამიანის უწმინდეს გრძობას, ქალის სიყოფილის დამამშვენებელს, დღის სიყვა-რულს ეწინააღმდეგოს. ეს ისეთი დეთიური სიყვა-რულია, რომ მისი ღირსება ჩვენ ძარღვ-მავარ მა-მაკაცებს, კარგათ არც კი გვეძმის, და არაიენ ითქი-როს, თითქო მე მას პატრეს არ ვეცემდე. ვიტყვი კი, რომ ამ გრძობამ ყველა სხვა გრძობა არ უნდა შთანთქმას, ბაღლმა სრულათ არ უნდა წავართოს გული, იმ თავისი თავის მოყვარულ მგზავრის მზავე-სათ, რომელმაც უდაბნოში წყაროს ანკარა წელით წყურვილი მოიკლა და მერე კი მიწით ამოაესო. გა-ნა იქვე არა დგას მეორე მწყურვალე მგზავრი?

თუ გსურთ, კეთილი დედობა გასწოთ, არ დაიფიყოთ, რომ იმავე დროს კეთილი „ცოლობასე“ მართებთ. როცა საცოდავი დედინი გარეთ გიძახის, ნუ გოჯავარდებთ: „როგარ, ბავშს გინდა მომამო-როსო?“ ნუ გაბატრებთ ხოლმე ყოველ საღამოს ზე-ვით, ბაღლის ოთახში და ბაას-მუსაათს მხოლოთ აკ-ენის მოწყობილობას და წერილმანობას ნუ უძღენით. ჩემო ძვირფასო პატარა ქალო, ბავშვი მძიმე ავთამყო-

უი არ გვეგონოთ ყოველთვის, როცა ცხვირის დაცემინებს ხოლმე; ერთ წუთს რომ ქუჩაში გავხალთ, არ იფიქროთ, რომ სახლის მამინათვე ცეცხლი წყვილებს; ან თქვენ ძიძას საყვარელი საღვთის მოიტაცებს; ავიანს რომ მოშორდებით, არ გვეგონოთ, რომ საძაგერი კატა იღროვებს და თქვენ ძვირფას პაწუნას მამინათვე გულებს შეაკუსულებს. ერთობ ძრვილ იწუხებთ თავს თქვენი ნორჩი წიწილის გულისთვის იფიქრეთ და სხვა თქვენი მოვალეობაც გახსენეთ და ჩერწუნეთ, თქვენი ლამაზი სახე სულ ნიადაგ ქმუნევა-მოცულები აღარ იქნება და თქვენ სასტუმროშიაც ისეთივე მზიარულება დასადღურებს, როგორც თქვენ საბავშვო ოთახში. თქვენ „ღიდ“ ბალნეზდაც იფიქრეთ ცოტათი, მათთანვე რცევეთ და თამაშეთ; სხვა-და-სხვა სასიყვარულო სახელი დაუძახეთ, იცინეთ და დასცინეთ დრო გამოშვებით.

მხოლოდ პირში, პირველი ბაღლი ეუფლებს ხოლმე დედის სრულ ფიქრსა და სიცოცხლეს. ხუთს ან ექვს თითქმის იმდენი ყურადღება არ ჰქირდება, რამდენიც ამ ერთს ჰქირდება, ეს არის უზედურება. მამას თავის ოჯახში ახლა ადგილი აღარ აქვს, მის ცოლს სამისარი აღარ სცალია, მოდუნდა მათ შორის კავშირი და ქმარი სხვაგან ეძებს ნუგუმს და მეგობრულ გრძობას.

კმარა, კმარა, კმარა! თან-და-თან ბავშვთ მძულვარებაში შეტრიავებ, თუ კიდევ ამისთანა კილოზე განავარძებ საუბარი. უფაღმა უწყის, რომ მე ბავშვთ მოძულე არა ვარ. განა შეიძლება ვინმე ბავშვთ მძულვარებას, ვინც ამ ქვეყნის დიდ შესაეალ კარებთან თავმჯდომარე უმანკო პაწია ხალხს ხედდას, მათ შეშინებულ სახეებს და უსუსურ უღონობას დაცქერის?

ქვეყანა! პატარა ქვეყანა! როგორი ვრცელი, იღუმეობით საესე ადგილი უნდა იყოს იგი ბავშვის თვალში. რანაირ უსახლერო ხმელეთათ უნდა ვხეინებოდეთ სახლის უკან გაშლილი ბაღი! რა საოცარ კლევადიებას მოახდენენ ხოლმე დაბლა სახლის სარდაფში! რანაირი შიშით გაყოლებენ ხოლმე თვალს გრძელ ქუჩას და ანეტა სად თავდება ყველა ვსაოა, ეკითხებიან თავის გულს, ჩვენსავით, დიდ ბაღლებსავით, როცა მაღლა ვარსკვლავებს შევცქერით ხოლმე. რა დინჯი, მწუხარე თვალით უყურებენ ისინი დაუსრულებელ ქუჩას, ბურუსით მოცულსა და მათ წინ გაშლილ ცხოვრების გზას. რა შიში და საკოდაობა გამოჩატება ხოლმე ზოგჯერ ამ თვალებში. ღამე სობას მოედინის კუთხეში, სახლის კიბეზე, მე ერთი პატარა ბავშვი ვნახე და თავის დღეში არ დამეიწყებდა, რაც მე მაშინ გავის ლამაზობით განათებულ, მის მოწყენილ თვალებში წაეკითხე: მწარე

უიმედობა, თითქო ბინძურ მოედანზე ბავშვის საწყალი ცხოვრების აჩრდილი ადგა და მის გულს სასიკვდილო თავზარი დასცა.

საკოდაო პაწია ფეხებო! ჩვენ, ძველ მგზავრებს, თქვენზე დიდი მანძილით დაშორებულვებს, მხოლოდ შეგვიძლია შევედეთ ერთ წუთს და ხელი დაიქნით ოთ შორიდან. ბნელ-ბურუსიდან გამოხვალთ თქვენ, ჩვენც ვიციკრებით უკან, გხედეთ სულ პაწიებს ამ სიშორეზე, გხედეთ, რომ ცხოვრების საზღვარზე გამოსულხართ და ხელები ჩვენკენ გაქვთ გამოწვდილი. ღმერთმა ბედნიერი გვა წარვიპართათ! ჩვენც შევადებოდით, სიყვარულით ჩამოგართმევით პაწია ხელებს, მხოლოდ დიდებული ზღვის ხმაურობა გვესმის და დაუფრება არ შეგვიძლია, იქ, გზის დასასრულისკენ უნდა გავეშუროთ, სადაც აჩრდილი ხომალდები გვიცილიან ჩვენ და შავი იალქნების გასაშლელათ ენახლებიან.

ო. ნაკაშია.

საკველ-მოკმელო საქმე

ქ-ნა რედაქტორო! უმოწილესათ გთხოვ, თქვენი პატრიოტული გაზრის საძაღუბით, უდრეკე მადლობა გამოცხადებით აქნაში მისწორებთ: თქველ ეფენდი სადაცმეაღს და სულეობს ეფენდი წითელას, რომელმაც რწმუნებულ ჩქდა, სადა დაასკეპულ მამისის სოფლის სკოლის გამოუგზავნეს: პირველა სეთი მანეთი და მეორემ სამი, ღუჯე ახდელდადის სკოლით. პანტელეონი გოჯასას, რომელმაც შავიბაგებს დაურიგა „სხვა რწმუნებ“ და „ფანტრები“ (გარანდაშეა)?!... ბ. ღუჯე დახარეს ქე ახდელდას, რომელმაც აჩუკაქმეს შეგონდას სამი მანეთი გადამისა და რვეულებს ფასათ და რომლისაგან პირველი არ არის ასეთი დახმარება.

მამისის სოფლის სკოლის მასწავ. დჯ. ივ. კერძამაშვილი.

ქ-ნა რედაქტორო! უმოწილესათ გთხოვთ თქვენი გაზრის შემწეობით უკუღთავება მადლობა გამოუცხადეთ. ბ. თოვთველ შესკეპებს და მეურნე ნ. თ. მეურნეს, რომელმაც შემოსწორეს შემოქმედის უფასო ბიბლიოთეკას თვანთი თისხულები: პირველმა შვიდი წიგნი „უჩაღი“ და კრთი „მოთხრობები“, მეორემ 80 ცალი „სიდეულის ღვინო“ უფასოთ დასარეკლათ.


დამასრულებელი შემოქმედი: წიგნსაცვისა კნ. ბ. გურიელი.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა .

აკაკის თვიური

ქუთაისის თავაღ-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოთ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე 18 § ძალით, ბანკის გამგეობის სადგურში საზოგადო ეპკრაზით გაყიდულ იქმნება შესახვედრ გადასახადის შემოკლებლობის გამო მოკლე ვადიანი სესხისა ხსენებულ ბანკში დაკრავებული უძრავი მამული ნინა ლევანის ასულის გამყრელიძისა, მდებარე ქ. ქუთაისს, ბალახვანის ქუჩის შესახვევში სამოსახლო ადგილი, ზომით 731 კვ. საყ.



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურა ნაბატებიანი ვაჭეთი


„კ ვ ბ ლ ი“

გამოვა 1898 წელს ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თამახამდე

„კვალის“ ხელმძღვანელობას და რედაქციის მართვა-გამგეობას 1 იანვრიდან 1898 წელს იკისრებს ბ. ნიკე ყორდანია.

გაზეთი წლიურათ ღირს გაუჯანელოთ 7 მანეთით, ხოლო გაგზავნით 8 მანეთ. ნახევარი წლით გაუჯანელოთ 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მანეთ. სამი თვით გაუჯანელოთ 2 მანეთ., გაგზავნით 2 მ. 50 კ. ოთხ ნომერა სამ შაურათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გამოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში „წერაკითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая ул. д. зем. банка № 102 და თვით „კვალის“ რედაქციაში Артиллер. ул. д. Тамашева возле кадетского корпуса. ქალაქ გარეთ რედაქციას ყველგან ჰყავს თავისი აგენტები.



„კ რ ე ბ უ ლ ი“

გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში. წელიწადით ითვლება ენკენისთვიდან ენკენისთვემდე.


„კრებული“ ცალკე ნომრებით არ გაიყიდება.

წლიური ფასი თფილისში მცხოვრებთათვის 6 მან., ხოლო ქალაქ გარეთ გაგზავნით 7 მან. ნახევარი წლით 4 მან.

რედაქცია იღებს დასაბუჯლათ კვამო განცხადებებს.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა-უქმებისა, დილის ათი საათიდან მეორე საათამდის.

რედაქცია გადავიდა მუსწან ბატონის სასაღაფან მოაწმინდაში აღრესი: Тифлис „Крестьян“. Малая Судебная № 4.



მიიღება ხელის-მოწერა 1898 წლისათვის ორ კვირულ გამოსვამათა მართულს

„მ წ ყ ე მ ს“ -ზე


და

რუსულ „ПАСТЫРЬ“-ზე

ფასი ყურნალობას:

- 12 თვით „მწყემს“ 3 მ. 6 თვით „მწყემს“ 2 მან.
- „ორივე გამოცემა“ 5 „ — „ორივე გამოცემა“ 3 „
- „რუსული“ 3 მ. — „რუსული“ 2 მან:

რედაქცია-გამომცემელი დეკ. დ. დამაშიძე.



ჭურნალი „ჯეჯილი“ 1898 წ. გამოვა ყოველ თვე ე. ო. ხელის მომწერლები მიიღებენ წლის განმავლობაში 12 წიგნს და ჭურნალი ეღირება თბილისში 4 მ. და ქალაქ გარეთ 5 მანეთი.

